საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
AVTONOMOUS REPUBLIC OF AJARA. HALL OF SHUAKHEVI MUNICIPALITY

N 07/4532
13/10/2020

4532-07-2-202010131148

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს,
მისამართი: ქ. ბათუმი, აკაკი წერეთლის ქ. №6, ბინა №43

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი, 2020 წლის 04 ოქტომბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ხორციელდება ფინანსური დახმარებები, ძირითადად საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების ან შენობის სხვა გეოლოგიურად მდგრად ადგილებზე გადასატანად.

2012 წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებისათვის ფინანსური დახმარება არ გაწეულა, 20 ოჯახზე გამოყოფილი 9250 ლარი ძირითადად გაცემული იქნა იმ დაზარალებულ ოჯახებზე, რომლებსაც დიდთოვლობამ და ქარბუქმა დაუნგრია დამხმარე ნაგებობები.

2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაწეული იქნა სტიქიის შედეგად დაზარალებულ 18 ოჯახზე 14715 ლარით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან საცხოვრებელი სახლების ადგილმონაცვლეობისთვის _ 8 ოჯახზე 67208 ლარი.

2014 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 35 ოჯახზე გაწეული იქნა დახმარება 33045 ლარით, აქედან 8140 ლარი 3 ოჯახს გამოეყო საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით. ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 18 ოჯახზე 162775 ლარი, აქედან 145775 ლარი 16 ოჯახის საცხოვრებელი სახლების ადგილმონაცვლეობის მიზნით.

2015 წელს ფინანსური დახმარება გაწეული იქნა 96 ოჯახზე 73468 ლარით, აქედან 33885 ლარი მოხმარდა 7 ოჯახის საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებას ან ახალი სახლის მშენებლობას, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 30 ოჯახზე გაწეული იქნა ფინანსური დახმარება 127685 ლარი, აქედან 13 ოჯახს საცხოვრებელი სახლების ადგილმონაცვლეობის მიზნით 82711 ლარი.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 48 ოჯახს 175570 ლარით, აქედან, 15 ოჯახს საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად გაეწიათ დახმარება 147570 ლარით.

2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწიათ 50 ოჯახს 66194 ლარით, საიდანაც 42509 ლარი მოხმარდა 14 ოჯახის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებას.

2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 32 ოჯახზე გაწეული იქნა ფინანსური დახმარება 59047 ლარით, საიდანაც 45381 ლარი მოხმარდა 15 ოჯახის საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებას. ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ. №30
ტელ.: (0424) 26 00 00
ელ. ფოსტა: shuakhevigg@gmail.com

ბიუჯეტიდან გამოყოფილი 143936 ლარი მოხმარდა 11 ოჯახზე საცხოვრებელი სახლების აღდგენა გამაგრებას ან ახალი საცხოვრეელი სახლების მშენებლობას.

2019 წელს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაწეული იქნა 21 ოჯახზე 31390 ლარით, აქედან 15770 ლარი მოხმარდა 5 ოჯახის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებას. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 11 ოჯახს გამოეყო 143936, აქედან 103936 ლარი მოხმარდა 7 ოჯახის საცხოვრებელი სახლის ადგილმონაცვლეობას.

2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე წლის 09 ოქტომბრის მდგომარეობით დახმარება გაწეულია 53 ოჯახზე, აქედან 3370 ლარი 1 საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებას, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 208 ოჯახს 223404 ლარით, ქედან 147767 ლარი მოხმარდა საცხოვრებელი სახლების ადგილმონაცვლეობას, ახალი სახლის მშენებლობას ან აღდგენა-გამაგრებას.

2016 წლიდან მუნიციპალიტეტში ამოქმედდა ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამა. პროგრამას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის ფარგლებში დღეის მდგომარეობით დაახლოებით გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე დაკმაყოფილებულია 250-მდე ოჯახი.

ასევე, ,,შუახევიჰესის“ მშენებლობის არეალში მოქცეულ ოჯახთა დასახმარებლად, საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების მიზნით, 2015 წელს აღნიშნულ კომპანიისა მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით სოფელ ჩანჩხალოში 65 ოჯახზე გაწეულია ერთჯერადი ფინნასური დახმარება 299733 ლარით, ასევე საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების მიზნით 2016 წელს აღნიშნული კომპანიის მიერ დახმარება გაეწიათ სოფლების: მახალაკიძეების, ნიგაზეულის, სხეფის და დაბა შუახევის ჰესის მშენებლობის არეალში მოხვედრილ ოჯახებს. ასეთია დახლოებით 100-მდე ოჯახი.

ამასთან, ბოლო 4-5 წლის მონაცემებით გეოლოგების მიერ შესწავლილია 2500- მდე ოჯახი, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვის, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 250 მდე ოჯახი ზვავსაშიშროების ხაზით.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ომარ ტაკიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა